



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მელქისედეკი

მელქისედეკი, პირველი "პროვინციის მეფე" 1311-20, დავით VIII-ის შვილი. ჯვრის მონასტრის აღაპში მოხსენიებულია "მეფეთ-მეფედ", ხოლო სინას მთის სულთა მათიანეში - "მეფედ". ჰოვჰანავანქის მონასტრის ეგვტერის წარწერაშიც მ. "მეფეა" და შემკობილია "დიდის" ტიტულით. ამავე წარწერის თანახმად, მას ჰყოლია მეუღლე *თამარი* და შვილი გიორგი. მ. ძმასთან, ანდრონიკესთან ერთად ამტკიცებს დავით VIII-ის მიერ გაცემულ სიგელს (1297). მ-ის "მეფობას" ადასტურებს ე. თაყაიშვილის მიერ გამოცემული ერთი ქრონიკაც: "პ"ლნი (პირველნი) მეფენი ესენი არიან. ამათ უკან მელქისედეგ დაჯდა". მ. ჯავახეთში ფლობდა ალასტანსა (იხ. აგრეთვე სტ. [ალასტანელები](#)) და მის მიმდებარე ტერიტორიას, აგრეთვე ყოფილი ახალქალაქის საერისთავო-ერისთავოს მიწების ნაწილს. მ-ის სამფლობელოშივე შემოდიოდა სამხრ. ქართლის ტერიტ., რ-იც ლორესაც მოიცავდა.

ლიტ.: ნ ი ნ ი ძ ე დ., სოფელ ალასტანის ისტორიიდან, "მასალები საქართველოს სოფლების ისტორიისათვის", ნაწ. 3, თბ., 1987; მ ი ს ი ვ ე , პროვინციის მეფეები XIV-XV საუკუნეების საქართველოში, თბ., 1995.
